ლიტერატურისმცოდნეობა და კრიტიკა

ნესტან სულავა

არსენ ბულმაისიმისძის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი

XIII საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ, საქართველოს კათალიკოსმა, ქართველმა ჰიმნოგრაფმა არსენ ბულმაისიმისძემ მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მის კალამს ეკუთვნის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და შიო მღვიმელისადმი მიძღვნილ საგალობელთა ორი ციკლი, წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი. მას გაუგრძელებია იოანე პეტრიწის მიერ დაწყებული მსოფლიო წმინდათა სათვეო სვინაქსარის გალექსვა, რომელიც შემდეგ XVIII საუკუნეში დაუსრულებია ანტონ კათალიკოსს.

არსენის საგალობლები სხვადასხვა ხელნაწერშია მიმოფანტული, რომელთაგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისსავე სიცოცხლეში, 1233 წელს გადაწერილი A-85, რომელშიც არსენის მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებთან ერთად დაცულია ძვირფასი ბიბლიოგრაფიული ცნობები როგორც თვით ავტორის, ასევე სხვა ჰიმნოგრაფთა, აბუსერისძე ტბელისა და საბა სვინგელოზის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ.

არსენის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლების შემდეგ A-85 ხელნაწერში მოთავსებულია არსენისავე ეპისტოლე, მიწერილი გელათის მონასტრიდან აბუსერ აბუსერისძისადმი. ეპისტოლის წინ კრებულის შემდგენლის

მინაწერია, საიდანაც ირკვევა, თუ როგორი ფორმითაა დაწერილი არსენის მეორე ჰიმნოგრაფიული კანონი და ვისი თხოვნა-ხვეწნით შეიქმნა იგი. თვით კრებულის შემდგენელი, ჩანს, რომ აბუსერისძე ტბელი ყოფილა, ხოლო არსენისათვის „მეოთხის გუცრდნი გალობანი" ვარდან აბუსერისძეს „შეხუცწით" შეუთხზვევინებია, ხოლო ინიციატორი ყოველივე ამისა აბუსერ აბუსერისძე ყოფილა, რომლის შესახებ მინაწერში ნათქვამია: „ძმამა ჩუცნმან აბუსერი არსენის მიმართ გალობათა თქუმისა იძულებად მოიგონა საღმრთოდსა პირისათჳს, რომლისა მოგონებასა ამით ებისტოლითა აბუსერის მომართითა ესევე არსენი აქებს, რომელი მოწერა გელათით ამათვე გალობათა თანა" (A-85, 293 ც).

ამრიგად, მინაწერიდან ირკვევა, რომ საგალობელთა შექმნის ინიციატორია აბუსერი, შემხვეწი – ვარდანი, ხოლო კრებულის შემდგენელი – მათი მესამე ძმა ტბელი. მინაწერი გვაწვდის ცნობას იმის თაობაზე, რომ არსენ ბულმაისიმისძეს, რომელიც აქვე მოიხსენიება როგორც „მონად მონათა ღმერთისათად მდაბალი არსენი ამარტოლი", აბუსერ აბუსერისძისათვის ეპისტოლესთან ერთად გელათიდან გაუგზავნია საგალობლები, მიძღვნილი მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი.

არსენის მიერ აბუსერ აბუსერისძისადმი მიწერილ ეპისტოლეს, რომელიც ხელნაწერში სრული სამი გვერდიც არ არის (A-85, 293 ც -294 ც), უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, ავტორის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებებისა და მისი სამწერლო მეთოდის შესასწავლად, მისი ეპოქის ლიტერატურული მოთხოვნების გასათვალისწინებლად, მეორე მხრივ, ეპისტოლარული ჟანრის ისტორიისათვის ქართულ მწერლობაში. მწერალს გამოუთქვამს მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხედულებანი, რომლებიც წარმოაჩენენ არსენ ბულმაისიმისძეს, როგორც მხატვრული სიტყვის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელსა და ლიტერატურის შემფასებელს. ეპისტოლე ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, რომელიც უთუოდ მოგვაგონებს იოანე

საბანისძისა და გიორგი მცირის ცნობილ ეპისტოლეებს. მათ მსგავსად, არსენ ბულმაისიმისძე ამჟღავნებს საოცარ თავმდაბლობას, საკუთარი თავი საგალობელთა გამოთქმის ღირსად არ მიაჩნია. იგი უპირველესად იმას მიუთითებს, რომ ადამიანმა თავისი შესაძლებლობანი უნდა გაითვალისწინოს და მასზე აღმატებულ საქმეს ხელი არ მოჰკიდოს. მაგრამ დიდია ძალა სიყვარულისა, რომელიც იმორჩილებს გონებას და აკეთებინებს იმას, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება. ამგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდა არსენ ბულმაისიმისძე აბუსერის, ყოვლად მეცნიერი კაცის, თხოვნისა და იძულების შემდეგ.

ძმები აბუსერისძეების შეკვეთა ადასტურებს, რომ არსენ ბულმაისიმისძე დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებაა. ჩანს, რომ არსენი თანამედროვეთაგან ყოველმხრივ აღიარებული და პატივსაცემი მოღვაწეა, განსწავლული, ღრმად მოაზროვნე და ღვთაებრივი პოეტური მადლით ცხებული ადამიანია. იმ დროისათვის, როდესაც აბუსერისძეთა შეკვეთა მიიღო, შესაძლოა მას უკვე ჰქონდა ჰიმნოგრაფიული თხზულებები შექმნილი, კერძოდ, წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი „გალობანი" უკვე დაწერილად უნდა ვივარაუდოთ.

არსენი საოცარი სისადავითა და უშუალობით ეკიდება თხოვნასა და იძულებას, მასში შიში და სიხარულია შეზავებული ამ დიდი და ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობის აღსრულების წინ. ეპისტოლეში ყველაფერი უდიდესი განცდით, სიწრფელით, კრძალვითაა გადმოცემული. „ებისტოლე" გამოკვეთს და წარმოაჩენს არსენ ბულმაისიმისძის, როგორც ბრძენი, დინჯი, შორსმჭვრეტელი, ღრმად მოაზროვნე და უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე ღირსეული პიროვნების ავტოპორტრეტს. „ებისტოლიდან" ჩანს არსენის ხასიათი, კრძალვა და რიდი ყოველგვარი დიდი საქმის წინაშე. კ. კეკელიძის სიტყვით, იგი „მაჩვენებელია მისი ელინური განათლებისა და ენაწყლიანობისა" (ქლი, I, გვ. 328).

არსენ ბულმაისიმისძე ჰაგიოგრაფთა და ჰიმნოგრაფთათვის დამახასიათებელი უბრალოებითა და თავმდაბლობით აცხადებს, რომ იძლია და დაავიწყდა წინასწარმეტყველთა გაფრთხილება: „ჰრიდეთ

სიტყუათა შჯულისა ჩემისათა, რომელთადა ეგე არა მიბრძანებიეს მეტყუცლებად". იქვე იმოწმებს იოანე ოქროპირის სიტყვებს: „რომელთა არა სულისა მიერ წმიდისა მიეღოს და რიტორობდენ, მსგავს არიან ბრმისა კედელსა მფებუცბელისა". ჰიმნოგრაფი მისდევს იმ შეხედულებას, რომლის თანახმად სული წმიდის შთაგონების გარეშე, ღვთიური მადლის გარეშე ვერ შეიქმნება ვერარა მხატვრული თუ თეოლოგიური თხზულება. ღვთისმეტყველებაში სული წმიდა მოიაზრება შემოქმედებით ძალად, რასაც მთელი ქრისტიანული მწერლობა აღიარებს. სული წმიდის შემოქმედებით უნარს იუდაიზმიც აღიარებდა, იგი მიაჩნდა ადამიანამდე ღვთიური შთაგონების მიმტანად (ეზრ. III). ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, სული წმიდა მთელი სისავსით მხოლოდ ღვთაებრივ ლოგოსთან, ქრისტესთან ერთად მოვიდა, იგი გადავიდა მოციქულებზე, სამუდამოდ დაივანა ქრისტიანულ ეკლესიაში. კაპადოკიელი წმიდა მამები — გრიგოლ ღვთისმეტყველი, ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი, მათი უმცროსი თანამედროვე იოანე ოქროპირი — ეყრდნობოდნენ ევანგელურ-აპოსტოლურ თვალსაზრისს ღვთაებრივი შთაგონების შესახებ და მიიჩნევდნენ, რომ სული წმიდის ფუნქცია დაფარული საიდუმლოს გაცხადება იყო. მათივე ნააზრევით, სულიწმიდის შთაგონებულია მთელი ჰიმნოგრაფია, რასაც საკმაოდ ხშირად გვამცნობენ თვით ჰიმნოგრაფებიც. ისინი აგრძელებენ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა საქმეს. ამიტომ დაისადგურა შიშმა არსენ ბულმაისიმისძის პიროვნებაში ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის წინ.

არსენ ბულმაისიმისძე თავმდაბლად და, ამავე დროს, მჭევრმეტყველურად გამოხატავს თავის ეპისტოლეში შემოქმედებითი პროცესისადმი დამოკიდებულებას, რომლის მიხედვით, ყოველივე, რაც მისი ხელით შეიქმნა, ზეცით მომადლებულია: „დიდ არს გონიერებად ნაშობითურთ თჳსით სიბრძნით, რომელი მარადის ღმრთისათა განიხილავს მის თჳსთა მოქმედი, ვითარცა დასაბამად შიშსა მისთა მაწუცველი, რომელი ესე განმწმედელთა გონებისა და სულისათა ზენაჲთ მოეცემის", ე. ი. მხოლოდ სული წმიდის შთაგონებით თუ შეიქმნებოდა მისი საგალობლები. შთაგონება სწორედ სული

წმიდისაგან მოდის, „სადაჲთ იგი მაუკუდავებელნი წყარონი დიან“. ამის ღირსი მხოლოდ ღვთის რჩეული შეიძლება გახდეს.

არსენმა გასაოცარი თავმდაბლობა და მასთან ერთად საკუთარ ღირსებათა შეგნება გამოავლინა, როდესაც განაცხადა, რომ ბედნიერად ჩათვლის თავს, თუკი სული წმიდის უკვდავების წყაროდან თუნდაც ერთი წვეთი მიიღო: „ვჰნახეთ მისგან წდეულთა და მე უკუეთუმცა წუცთიცა ერთი მიმეღო მისგანი, არამცა ესრეთ აღმელაგმა ენაჲ ქებად შენთჳს, რომელმან განინათლე საცნაურითა ხედვითა გონებაჲ მარადის ზემჭუირობი, ესე ვითარ თანა ქების მეტყუცლებათათჳს მბრძნობი და მთნები, ჰოჲ, ღმრთისმოყუარეო მთავარო დიდგუარიანო და სახელ მაღალო აბუსერი“. არსენ ბულმაისიმისძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და აღნიშნავს აბუსერ აბუსერისძის დამსახურებას მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლების შექმნის ინიციატივის გამო. ეს დიდგვარიანმა სახელმაღალმა და ღვთის-მოყვარე მთავარმა აბუსერმა აიძულა ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესი, საქართველოს კათალიკოსი და შეათხზვევინა სიტყვა-კეთილი საგალობლები. ყოველივე ეს ღვთიური ჩანაფიქრი იყო, რომელიც სიტყვაში განხორციელდა.

არსენ ბულმაისიმისძე გაორებულია. იოანე საბანისძის მსგავსად, მან უნდა გააკეთოს არჩევანი, დათანხმდეს თუ არა საგალობელთა შეთხზვას. მან არ იცის, როგორ მოიქცეს, რა გადაწყვეტილება მიიღოს. უარსაც და თანხმობასაც შესაფერ არგუმენტს უძებნის. ამ მხრივ ეპისტოლე ფსიქოლოგიზმით დატვირთულია, იგი მწერლის შემოქმე-დებითი ძიების პროცესს ასახავს და იმავდროულად ავტორის ლიტერატურულ გემოვნებას, ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ავლენს, მხატვრული წარმოსახვის საკვირველ უნარს წარმოაჩენს. მისი აზრით, „კუალად დიდ არს ძალი სიყუარულისაჲ, რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა, ვითარ ესე იქმნა აწ ჩემზედაცა მეცნიერისა“.

არსენ ბულმაისიმისძემ თავის ეპისტოლეში გამოთქვა ღრმა და მეტად მნიშვნელოვანი შეხედულება ავტორის შეხედულების ავ-კარგის, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის შესახებ და გამოამჟღავნა თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი: „ვითარმედ ყოველი

წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომელსამე საქებელყოფად, ხოლო სხჳსა განქიქებად უმეცრებასა, ვითარ ვხედავ აწ ჩემსა". აქაც გამოვლინდა ჩინებული მწერლის, ღირსეული მამულიშვილის, სიბრძნითა და გონიერებით აღსავსე პიროვნების საოცარი, სხვათათვის მისაბაძი თავმდაბლობა. არსენ ბულმაისიმისძე მართლაც გამოაჩინეს მისმა თხზულებებმა მისი სახელის, არსენისავე სიტყვით რომ ვთქვათ, „საქებელყოფად", რაშიც მისი საგალობლების გაცნობა გვარწმუნებს.

არსენს უკვირს, ვით ჰპოვა აბუსერ აბუსერისძემ მასში ნილოსის მსგავსი დიდებული მდინარე, რადგან მას თავი ღირღლოვანში მდებარე ურწყულ ხევად წარმოუდგენია: „ვითარ და რად ღორღლოვანსა შინა ურწყულსა კევსა უდაბნოჲსასა ჰგონეთ მდინარე? და მდიდროობასა ნილოჲსა ნანდულ ოქრონეკტართასა და არა აღივსენით ჯურღ-მულნიცა?

რად თავისა დამტეობელთა თქუმულისაებრ ფეკრთანი მოიხა-დენით? ანუ ვინ სადა მჯდომარემან აღსავსესა ტრაპეზსა ურქუა გიხაროდენი? ხოლო გლახაკისა უბეთაგან სასოებდა განძღომასა? ანუ სამეფონი საწდევნი, ტაკუკნი და ფიალნი აღსავსენი და – ვინმე-უტევნაა ოდესცა და გული უთქუმიდა მახრუტსა პერეღრინთასა[1] შთაწრედად შემნდობელთაგან და მაღალი, რომელთა აიძულენით თავნი და [....] ვითარ ვინ თქუას წყალთა პონტოჲსათა და მისწრაფად ფრეათა უქმთა არაბიაჲსათა?" მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც ახლავს შემოქმედებით პროცესს, არსენი იძლია და დათანხმდა. მისი შიში სიხარულმა გააქარწყლა, რადგან მისი შემოქმედება მომავალ თაობებს, შთამომავლობას დარჩება. არსენ ბულმაისიმისძემ საკუთარ თავთან ჭიდილი ღვთისმეტყველთა ნააზრევითა და სიტყვებით გამართა, რაც ეპისტოლეს ფსიქოლოგიური დატვირთვითაც გამო-არჩევს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არსენის, როგორც ავტორის, გადაწყვე-ტილებას ახლავს შიში, რაც მის პიროვნულ, მოქალაქეობრივ

---

[1] მახრუტი არს ჭიქა, ანუ ოქრო, ღვინის სასმელი არა თუ ღრმად კოდილი, არამედ სითხით ჭრელებული (საბა). „პერეღრინთასა" – ლათ.: peregrinos, უცხოური, უცხოელი, უცხოეთი. ბერძნ. ο τελεψλιυος.

შეგნებაზე, პასუხისმგებლობის მეტად გამახვილებულ გრძნობაზე მეტყველებს. მასში ერთმანეთს ერწყმის შიში და სიხარული, რაც მთელ ეპისტოლეს გასდევს. ეს ფაქტიც უკვე თავისთავად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-მხატვრული მოვლენაა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ეპისტოლის ავტორი უდიდესი შემოქმედებითი ნიჭითაა დაჯილდოებული. გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა,რომ შემოქმედებითი კრძალვა და შიში არის საწინდარი არსენის მიერ ღრმა თეოლოგიური აზრით დატვირთული მაღალ-მხატვრული საგალობლების შექმნისა. ღვთიური სიტყვის განხორციელება, განცხადება შედეგია უდიდესი სიყვარულისა, სიყვარულია შემოქმედებითი შთაგონების პირველსათავე, ადამიანურისა და ღვთაებრივის გამაერთიანებელი ძალა.

იოანე საბანისძის მსგავსად, არსენ ბულმაისიმისძეც გამოთქვამს საგულისხმო და გასათვალისწინებელ თვალსაზრისს ჭეშმარიტის-მეტყველების შესახებ: „ჭეშმარიტებაჲ უფროჲს თხზულთა სიტყუათა წინაშე ბჭისა კეთილისა და სიმართლე წინაშე მეფისა დიდისა“. ამ სიტყვებში აისახება ეპოქის ლიტერატურული პრინციპი, რომელიც მომდევნო საუკუნეებში კონცეპტუალურ ნორმად იქცა. აქვე აუცილებელია იმის აღნიშნვა, რომ ეს არაა მხოლოდ ამ ეპოქის ლიტერატურული მოთხოვნილება. ამაზე მსჯელობენ VIII საუკუნის მიწურულს სამოელ კათალიკოსი და იოანე საბანისძე. არსენ ბულმაისიმისძემ გააგრძელა ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული ტრადიცია ჭეშმარიტისმეტყველებისა. მას ღირსეული სულიერი მემკვიდრეც აღმოაჩნდა ჟამთააღმწერლის სახით თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ: „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტისმეტყუელება არს და არა თუალახმა ვისთვისმე“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 199).

არსენ ბულმაისიმისძის შეხედულებით, ჭეშმარიტება ღვთისაგან მოდის, იგი ყოველგვარ თხზულს, გამოგონილს აღემატება. ჩანს, მწერალი გამოხატავს იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ჰიმნოგრაფია წინასწარმეტყველთა და მოციქულთა წიგნების გაგრძელებად მიიჩნევა. სარწმუნოებამ უნდა შვას სიკეთე, გამოიღოს კეთილი ნაყოფი, რითიც ადამიანი მიაღწევს სრულყოფას: „გარნა მოგმადლენ გულმოდგინებამან სარწმუნოებაჲ და სარწმუნოებამან

საქმე, რადთა ამათ შინა სრულნი იშუკბდეთ სასოებათა ნაყოფითა". მწერალს სწამს, რომ ყოველი ადამიანის ნამუშაკევი მის ჭეშმარიტ შემოქმედს, ღმერთს უნდა შეეწიროს, რადგან არ არსებობს სიკეთე, რომელიც ღვთისაგან, ყოვლის ჭეშმარიტი შემოქმედისაგან არ მომდინარეობდეს: „ესე იყავნ ხუავ თქუენდა და თქუენთა ნამუშაკევთა ნაყოფ შეწირულ მომცემელისა, რამეთუ არა რად არს კეთილთაგანი, რომელიმცა არა მისი იყო... ხოლო ნაცვალი თჳთ მან მოგცეს მისდა მხედველთა, უფროდსღა მის მიერ ხედულთა, აქათა შინა კეთილ ყოფად". არსენის ეპისტოლე გამოხატავს თეოლოგიურ თვალსაზრისს კეთილის ღვთისაგან მომდინარეობის შესახებ, ყოველი სიკეთე ღმერთისაგან მოდის, იგია ყოველი კეთილის საწყისის საფუძველ-დამდები, მხოლოდ სიკეთეს აქვს საწყისი, დასაბამი. ღმერთი კი ყოველივეს ხედავს და ყველას თავისას მიუზღავს.

ეპისტოლე მთავრდება ავტორის ვედრებით, რომ იგი ღირსი გახდეს ღმერთთან მიახლოებისა და წმინდათა სასოების განცდისა: „ხოლო უსრულესთა ღირს მყვენ მიახლებად და განცდად სასოებასა წმიდათასა".

ამრიგად, არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერის-ძისადმი წარმოაჩენს ავტორის თავმდაბლობას, ერთგულებას საქმისადმი, ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს, რაც წარმოდგენას გვიქმნის XIII საუკუნის ლიტერატურული მოთხოვ-ნებისა და გემოვნების შესახებ. იგი არის ავტოპორტრეტი დიდებული მოღვაწისა, რომელიც უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სამწერლო თუ საქვეყნო საქმეს. არსენის ეპისტოლის მნიშვნელობა ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიის გასათვალისწინებლად უაღრესად დიდია. ამავე დროს, იგი ქართული ეპისტოლარული მემკვიდრეობის ერთ-ერთი საუკეთესო მჭევრმეტყველური ნიმუშია.